№ 266
შაბათი, 8 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 266
შაბათი, 8 დეკემბერი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია"

გამოვა 1902 წელს

(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა, იმავე პროგრამით, როგორც წინად.

თან-და-თანიაბითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარემოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ აძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს გავადიდოთ გაზეთი და გავხადოთ იმოდენა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკითხველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს სალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად აღნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ გინდა რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისში:

„ივერიის" რედაქცია,
ნიკოლოზის ქ. № 21.
„ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიიდგან,
სასახლის ქ. ბანკის ქარვასლა,
ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში,
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩა, ალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ. **ტელეფონი № 227**
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія".

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 9 დეკემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

დაკლებული ფასით

წარმოდგენილი იქმნება:

I

პატარა კახი

ისტორიული დრამა ლექსად 5 მოქმედ., თავ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობენ: ქნნი ჩერქეზიშვილი, ნებიერიძისა, ლეჟავა, და დივანი. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, შათირიშვილი, გედევანოვი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, ჯავახია, სარჯველაძე და სხვ.

II

დუელი

ვოდევილი 1 მქმედ. რუსულიდან ნ. გალუსტოვის-მიერ.

ადგილების ფასი დაკლებულია: სკამები 50 კ.—1 მ. 50 კაპ., გალერეია 20 კაპეიკიდან, ლოჟები 4 მანათიდან.

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟებში სამ აბაზად.

დასაწყისი 8 საათზედ.

მზადდება **ვ. აბაშიძის საბენეფისოდ** „უცნაური ხაფანგი" და „უშიშარი რაინდი"

(2—უ.—1) რეჟისორი ვ. გუნია

ქუთაისი

კბილის ექიმი

გ. მახარაშვილი.

კოფოვის ქუჩა, ბულვარის პირდაპ.
(3—248—3).

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

1901 წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი,

რომლის დასასრულ იქნება **ცეკვა** ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილი დაწვრილებით ცნობა თავის დროზე. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

ტფილისის ვაჭართა უხუცესი და მისნი ამხანაგნი სთხოვენ ბ.ბ-ნთ ტფილისის ვაჭრებს მობრძანდნენ **საზოგადო კრებაზედ**, რომელიც კვირას, 16 დეკემბერს, დილის 11 საათზედ არის დანიშნული **ვაჭართა უხუცესის** კამერის შენობაში, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში, სახლი ქეთხუდოვისა.

(1—249—1

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აგიშაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ც. ვ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

ვ. ვ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ვ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1\frac{1}{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ვ. მაღალაშვილი. — შინაგან და ბავშვებისა. 5—6 სათ.

კვირაობით:

ვ. ვ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—4).

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—16)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადიასტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ვ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7\frac{1}{2}$ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ იქნება ამ თვისს 22-ს ტფილისის შესაკრებელ დარბაზში. გამართულ იქმნება კონცერტი და კონცერტს შემდეგ ქართულ-ევროპიული ცეკვა. საღამოს დიასახლისობა უკისრნია ეკ. ი. სარაჯიშვილისას.

სასურველია, რომ ამ ჩვეულებრივს საღამოს არა ჩვეულებრივი გულმხურვალეობით დაესწრონ ყველა ისინი, ვინც ჩვენი ხალხის გონებითს წარმატებას თანაუგრძნობს, რადგანაც ბოლოს დროს, სხვა მიზეზთა შორის, ნივთიერი ხელმოკლეობაც ერთობ აბრკოლებს ამ სიმპატიური საზოგადოების მოქმედებას...

⁂ როგორც შევიტყეთ, საქართველოს ახალი ექსარხოსი ალექსი 7-ს ამ თვეს ქალ. ვიატკიდგან პეტერბურგში წავიდოდა. პეტერბურგშივე წასულია საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო სკოლების მეთვალყურე დეკ. ვოსტორგოვიც სამსახურის საქმეების გამო.

⁂ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ი. ა. პრიხოდინი თავს ანებებს თავისს თანამდებობას და რკინის გზის სამმართველოში გადადის სამსახურში. ბ. პრიხოდინის გადასვლა დიდად სწყინთ სასწავლებლის მოწაფეებს, რომელთაც იგი უყვარდათ, როგორც შრომის მოყვარე, პატიოსანი და კეთილი აღმზრდელი. ამბობენ ბ. პრიხოდინის ადგილს ამავე სასწავლებლის ბერძნული ენის მასწავლებელს ი. ა. გრეკოვს აძლევენო.

⁂ ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორას გადაუწყვეტნია, გაგზავნოს საქართველოს ახალ ექსარხოსის ალექსის შესახვედრად კავკასიის სამზღვარზედ ტფი-

ლისის სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი მამა ესტატე ელიევი.

⁂ სოფ. იტრიიდგან გვწერენ: (გორის მაზრა). იტრიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლაში ქართლ-კახეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურემ დეკ. ვოსტორგოვმა მასწავლებლად დანიშნა ამ ორის თვის წინად ქალბ. კუზნეცოვისა, რომელმაც ქართული ენა არ იცის და ბავშვებს „მუნჯურის მეთოდით“ ასწავლის ყველა საგნებსა. „მუნჯური“ მეთოდი საქართველოს, საეკლესიო სკოლებში უარყოფილია, რაც სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ ბ. იაკობ გოგებაშვილის წიგნი: „Русское слово“ სულ სხვა მეთოდით შედგენილი, დამყარებული თვალსაჩინოებასა და დედა ენის შემწეობაზედ, უწმინდესის სინოდის მიერ საბოლოოდ მოწონებულ იქმნა წარსულს წელში, როგორც სახელმძღვანელო შესასწავლად რუსულის ენისა ქართულს საეკკლესიო სკოლებში. ქალბ. კუზნეცოვისა, მანგლისის მღვდლის და ბლაღოჩინის მამა ჩიტაძის საჩივრის გამო გადმოყვანილ იქმნა მანგლისის საეკკლესიო სკოლიდგან იტრიის სკოლაში; თავისს თავად იგი ნიჭიერი მასწავლებელი ქალია, მაგრამ ქართული ენის უცოდინარობა მეტად ხელს უშლის მას ბავშვთა სწავლების საქმეში.

⁂ ექიმის ე. ვაშაკიძის თაოსნობით ქუთაისის მაზრის ორი სოფლის დიდისა და გოჩა ჯიხაიშის მცხოვრებლებს, წოდების განურჩევლად, დაუარსებიათ თავიანთთვის საერთო საავადმყოფო.

წამლობა საავადმყოფოში უსასყიდლოა დამაარსებელთა ოჯახებისათვის, რომელთაც ყოველწლიურად ხვდებათ: თავად-აზნაურებს 4-ოდე მანეთი და გლეხთ-კი ცოტა ნაკლები. საავადმყოფოს გამგედ მიწვეულია ექიმი ივ. გომართელი, აგრეთვე ერთი ფერშალი, ერთი ბებია—ქალი და რამდენიმე მოსამსახურე.

გამგეს ჯამაგირად დანიშნული აქვს წელიწადში ორიათასი მანეთი, სახლი, შეშა, განათება და ფაეტონი. მისი მოვალეობა იქნება აგრეთვე სოფლად წამლობა იმ სნეულთა, რომელნიც ვერ შესძლებენ საავადმყოფოში მისვლას. ჯერჯერობით საავადმყოფო მოთავსებულია დროებითს სადგომში, საკუთარის შენობის აშენებას კი მომავალ წელს დაამთავრებენ.

⁂ ქუთაისში ამ ჟამად ერთობ გავრცელებული ყოფილა ბავშვთა შორის ჩუტ-ყვავილა.

⁂ ცნობილი მეცნიერი გეოლოგი სიმონოვიჩი ამ ჟამად მძიმე ავად არის. მიზეზი ავადმყოფობისა გამუდმებული ჯაფისაგან გადამეტებული დაღლილობა ყოფილა.

⁂ ამ ჟამად ოქროს ძებნის ციებცხელებაა ქართლ-კახეთში. ეძებენ შინაურნი და გარეშენიც. (უფრო მომეტებული ნაწილი მძებნელთა ბაქოში გაკოტრებულნი, ან ჯერ კიდევ გაუკოტრებელნი მწარმოებლებია...

სხვა მრავალ ადგილთა შორის ეძებენ ოქროს მადნის კვალს პატარა მდინარე თეზამის მიდამოებშიაც, საგურამოში. ერთს ადგილობრივს მოხუცებულ გლეხს უთქვამს, რომ თ-დის თ. გურამიშვილის დროს თეზამის ნაპირს ადგილებში მჯილისოდენი ოქრო ნახესო.

⁂ დღეს, 8 ნოემბერს ავჭალის სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა სადგომში ქართულ სცენის მოყვარეთ წარმოსადგენათ დანიშნული აქვთ ორი პიესა: „გაცრუებული იმედები“ და „ჰკუისა მჭირს“. წარმოდგენა საღამოს 7½ საათზედ დაიწყება.

⁂ დღეს, 8 დეკემბერს სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში პალატის უფროს ბ-ნ ვრაჟსკის თავმჯდომარეობით განხილულ იქნება საქმე ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე და ზოგ ნამსახურ პირთა, რომელნიც მთავარ-მართებლის საბჭოს განკარგულებით პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი სამსახურის დროს სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენისათვის.

⁂ მომავალ 1902 წელს პეტერბურგში გაიხსნება სრულიად რუსეთის შინად მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენა; გამოფენაზედ კავკასიიდგან ამ მრეწველობის ექსპონატების შესახებ გასაგზავნად მიწადმოქმედების სამინისტროს გადაუდვია საჭირო ფული. აგრონომი ბ-ნი ფირალოვი კიდეც შესდგომია საჭირო კოლექციის შედგენას გამოფენაზე გასაგზავნად. გამოფენის დროს პეტერბურგშივე გაიმართება საოჯახო მრეწველთა წარმომადგენელების სხდომები მრეწველობის საქმის გამაუმჯობესებელ სხვა-და-სხვა საკითხების განსახილველად.

⁂ 6 დეკემბერს საღამოს 8 საათზედ სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელმაც განიხილა კითხვა სასწავლებლებში საქმის გონივრული გასართობების გამართვისა მომავალ დღესასწაულებში.

გადასწყდა, თითოეულმა სკოლამ საკუთრად გაიმართოს გასართობები. კომისიამ გარდასწყვიტა ქალაქისაგან ამ საგნისთვის გადადებულ 1500 მან. განაწილდეს ამ ნაირად: 275 მან. შეიძინოს სურათებიანი (волшебный) ფანარი; 100 მან. მიეცეს სახელოსნო სასწავლებელს 100 მან. დედათა პროფესიონალურ სასწავლებელს, სამოც-სამოცი მანეთი იმ სკოლებს, სადაც სამი განყოფილებაა, ორმოც ორმოცი მან. ორ განყოფილებიანს, ხოლო ოც-ოცდა ხუთი მანეთი თითო განყოფილებიან სკოლებს. კომისიის გარდაწყვეტილება ქალაქის გამგეობას წარედგინება დასამტკიცებლად.

⁂ დ. ყვირილაში მცხოვრებლებს თხოვნა მიუციათ ქუთაისის გუბერნატორისათვის, რომ მათს დაბაში ექვს-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი დაარსდეს. პროექტი უკვე გაგზავნილია სადაც ჯერ არს განსახილველად.

⁂ ს. ბაღდადში (ქუთ. მაზრა) 1901 წელს იანვარში დაწყებული ორ-კლასიანი სასწავლებლის შენობა უკვე მთავრდება, ასე რომ მომავალ წლის 1 იანვრიდგან სწავლა ახალ შენობაში დაიწყება.

⁂ დ. სურამის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმე ცუდად მიდის თურმე, ჟურნალ-გაზეთები სულ დუქანში ყრია და სამკითხველოს-კი კვირაში ერთხელაც ძლივს აღებენო.

⁂ რედაქციამ მიიღო ნოემბრის № XI. ჟურნალის მოგზაურისა. ამ ნომერში დაბეჭდილია სხვათა შორის კოჟრის და ვერანას ციხეებისა და ახტალას სურათები, ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველნი, მცირე რამ ქართველთ პირველ დროის ისტორიიდან და სხვ. 1902 წ. ჟურნალი გაფართოვებული [illegible] გამოვა.

⁂ გამოვიდა და ხელის მომწერთ დაურიგდა ნოემბრის № XI საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“ შემდეგი შინაარსის: I. მწუხარე კურდღლები, II ორი კოდო, III. ყმაწვილები და ჩიტი, შ. მღვიმელისა, IV. მამულის სიყვარული, დე—ამიჩისა. V. კრუხი და გუგული. VI მცენარე და მისი ცხოვრება, ი, გომართელისა, VII, ლედი-ჯენ, მოთხ, ე, წერეთლისა, VIII. თუთიყუში და ბეღურა, IX ქვის საუკუნის ბავშვები, X, მეგობარი, ამბავი ქ, ზარაფიშვილისა, XI, ალალ მართლობა, XII. ორი მხატვარი, XIII წვრილმანი, ისტორიული აკროსტიხი, გამოცანები და სხვ.

⁂ მეორე თუმანოვის ქუჩაზე ღამღამობით დიდი უწესოება ხდება. გუშინ წინაც ვიღაც შექეიფიანებულ ვაჟბატონებმა რამდენჯერმე გაიარეს ხსენებულ ქუჩაზე რევოლვერის სროლით. საჭიროა ამ გარემოებას უბნის პოლიციამ ყურადღება მიაქციოს.

როგორ მოიხმარეს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული?

—

ბევრი რამ დაიწერა ამ საკითხი შესახებ ქართულს გაზეთებში. ყოველი ავტორი სცდილობდა ეს საკითხი ისე გადაეწყვიტა, როგორც მას პირადად საუკეთესოდ მიაჩნდა თავისის საკუთარის ჰაზრის ჩაგონებით. ამ წერილებში გამოთქმული იყო ჰაზრი პროგიმნაზიების დაარსების შესახებ პროვინციებში, სტიპენდიების დანიშვნის თაობაზედ ქართველ სტუდენტთათვის, დედათა სასწავლებლის დაარსების შესახებ და სხვა-და-სხვა...

კარგი მოგეცეს, რომ ყველა ე კარგია, ყველა ამას შეუძლია განკურნოს შესამჩნევად მომაკვდინებელი წყლული ჩვენის ერის დაბ

ფელეტონი

—

ფიქტიური დადგენილება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიურ კრებაზედ, 28 წარსულ ოქტომბერს, საზოგადოების წევრმა ბ-ნ გ. დეკანოზიშვილმა განაცხადა, რომ ბათუმის სკოლაში ორ მასწავლებელს 200 მოსწავლე ჰყოლია. შეუძლებელია ამ პირობაში ორი მასწავლებელი სასურველად გაუძღვეს საქმეს და ამიტომ საჭიროა, გამგეობამ რაიმე წყარო გამონახოს და მესამე მასწავლებელი დანიშნოსო. ამ განცხადებას მხარი მისცა ბ-ნ პ. სურგულაძემ, რომლის აზრით, საზოგადოების მატერიალური ძალა იქით უნდა იყოს მიმართული, საცა შედეგად მეტი ნაყოფი გვრჩება, და არა გომარეთის სკოლისაკენ, რომელზედაც ფული ბლომად იხარჯება, შეგირდებს-კი მშობლები სკოლას არ აბარებენო.

გამგეობამ, ბ-ნნთ ნ. ცხვედაძის და ე. თაყაიშვილის პირით ფაქტიურად განუმარტა საზოგადო კრებას, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომაც საზოგადოების ძალ-ღონე ბათუმისაკენ უფრო მეტათ მიმართული უნდა იყოს, ვინემ გომართისაკენაო. ესეც რომ არ იყოს, საზოგადოებას შეძლება არა აქვს, ბათუმში მესამე მასწავლებელი მოიწვიოსო. კრება დაკმაყოფილდა გამგეობის ამგვარი განმარტებით და ბათუმის სკოლაში მასწავლებლების რაოდენობის შესახებ „statusquo“ დასტოვა. საქმეც ასე უნდა დაბოლოვებულიყო, მაგრამ ესე არ მოხდა.

ოთხს ნოემბერს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს ბ-ნ პ. სურგულაძემ კვლავ განაახლა 28 ოქტომბერს განსჯილი საგანი და კატეგორიულად მოითხოვა, ბათუმში ეხლავე მესამე მასწავლებელი დაინიშნოსო და ხარჯთაღრიცხვაში საჭირო ფული შეტანილ იქმნასო. ბათუმის სკოლის აწინდელი უფროსი მასწავლებელი ბ-ნი ი. რამიშვილი სრულიად ეთანხმებოდა ბ-ნ პ. სურგულაძეს და ურჩევდა გამგეობას: საზოგადოებამ ბათუმში იყოლიოს განყოფილებაო, და ის „მიიღებს თავზე და იზრუნვებს ბათუმის სკოლის შენახვაზე“-ო. ბ-ნმა იაკ. გოგებაშვილმა პედაგოგიურ პრინციპის მხრით დანაშაულობად მიიჩნია სკოლაში გადამეტებითი შეგირდების მიღება, ხოლო, რადგანაც ახლა საქმე სხვა მხრით არა ეშველება რა, უსათუოდ მესამე მასწავლებელი უნდა მოვიწვიოთო, და ამ საქმისათვის მე 200 მან. ვწირავო. ბ-ნმა ი. რამიშვილმა მოახსენა საზოგადო კრებას, რომ დანაშაულებად მითვლიან იმას, რომ ბათუმის სკოლაში მეტი შეგირდები მივიღე, მაშინ როდესაც ეს დანაშაულებად არ უნდა ჩამეთვალოს, რადგანაც საზოგადოების გამგეობას დროზე შევატყობინე და მესამე მასწავლებლის დანიშვნა ვთხოვე, მაგრამ გამგეობამ ჩემს თხოვნას არავითარი ყურადღება არ მიაქციაო. გამგეობის წევრმა ბ-ნ ნ. ცხვედაძემ განუმარტა კრებას, რომ მართალია, გამგეობამ მიიღო წერილი ამ საგნის შესახებ, მაგრამ ეს წერილი უკანვე დავაბრუნეთო, რადგანაც ბ-ნ რამიშვილს ამ საგნის შესახებ ადგილობრივ სამზრუნველოსათვის უნდა მიემართნაო.

ეს გაუთავებელი კამათი ძლივსღა დააბოლოვა ბ-ნმა ნ. ელიავამ, რომელმაც მარტივათ მოსჭრა სიტყვა: „რამიშვილს მადლობა უნდა გამოუცხადოს, რომ ასე მუყაითად მოქცეულა, ბავშვებიც ბლომად მიუღია და საქმეც აქამდის სასურველად მიჰყავს. ხოლო რაც შეეხება მესამე მასწავლებლის მოწვევას, საჭირო ეს კენჭით გადაწყდესო“. კრებამ კენჭის ყრით დაადგინა, რომ ბათუმის სკოლაში დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას მესამე მასწავლებელი. აი საქმის უტყუარი ფაქტიური მხარე, რაიცა ჩვენმა გაზეთებმაც სრულის სიმართლით გარდმოგვცეს.

პირველის შეხედვით, საზოგადო კრების დადგენილება ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის მოწვევის შესახებ თითქო კანონიერი და საბუთიანიცაა. საზოგადოების კეთილის მსურველნი სკოლაში შეგირდების რაოდენობის მიხედვით საჭიროთა სთვლიან მესამე მასწავლებლის მოწვევას, საზოგადო კრება ხმის დიდის უმეტესობით დადგენილებას ახდენს, დაუყოვნებლივ მოწვეული იქმნას ხსენებული მასწავლებელიო. საზოგადოების წევრნი თხოულობენ მასწავლებლის დანიშვნას, საზოგადო კრებაც აკმაყოფილებს ამ თხოვნას, რა უნდა იყოს აქ უკანონო, დაუსაბუთებელი, საქმის შეუსაბამო!..

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვისი უფლებაა, ამა თუ იმ სკოლაში მასწავლებლების დანიშვნა, ან მათი რაოდენობის განსაზღვრა,— საზოგადო კრებისა თუ საზოგადო კრების მიერ არჩეულ კოლლეგიის, გამგეობისა? პატივცემულ ორატორებს, რომ საზოგადოების წესდება რიგიანათ გადაეთვალიერებინათ, საგონებელია მოხსენებულ საკითხს საზოგადო კრების სამსჯავროს არ წარუდგენდნენ, რადგანაც, წესდების ძალით, მასწავლებლების დანიშვნა, მათი რაოდენობის ამა თუ იმ სკოლაში განსაზღვრა სწორეთ გამგეობის უფლებაა და არა საზოგადო კრებისა.

პატივცემულ ორატორებს საზოგადო კრებაზე მხოლოდ იმის უფლება ჰქონდათ მოეხსენებინათ, რომ ბათუმის სკოლაში ორასი შეგირდია, სწავლის საქმე ამის გამო დღითი-დღე ქვეითობს, მასწავლებლისათვის დღევანდელი შრომა აუტანელი შეიქმნება და სხვა, და ამის გამო დაევალებინათ გამგეობისათვის ეს საქმე მოეწესრიგებინათ, ხოლო სახელდობრივი განსჯა იმისი თუ, გამგეობამ მესამე ან მეოთხე მასწავლებელს მოიწვევსო, ეხლანდელს მასწავლებელთა შტატს შეამცირებს, ან ნორმაზე გადამეტებულ შეგირდებს სხვა რაიმე ბინას გაუჩენს,—ამის გამოძიებაში შესვლა საზოგადო კრების საქმე არ არის. საზოგადო კრებას უფლება აქვს, მოსთხოვოს გამგეობას, რომ სკოლებში სწავლის საქმე რიგიანათ, პედაგოგიის წესის თანხმად სწარმოებდეს. ხოლო რა ღონისძიებით და როგორ ამყარებს გამგეობა სკოლებში ამა თუ იმ წესწყობილებას, ამისი ორგანიზაცია გამგეობას უნდა ეკუთნოდეს და ეს წესდებისაგანაც აქვს მას ნაკისრები.

მაგრამ საზოგადო კრებასა და გამგეობას შორის უფლებათა განაწილებას მარტო პრინციპიალური, იურიდიული მნიშვნელობა როდი აქვს, ასეთს განაწილებასა და განსაზღვრას მოითხოვს თვით პრაქტიკული მიზანიც; უამისოდ საქმის გაკეთება უხერხული ხდება, საქმების წარმოებაში უწესობა შემოდის. ამ შემთხვევაშიაც საზოგადო კრების დადგენილებას წინ დაუხედაობა, პრაქტიკული მოუსაზრებლობა და ასრულების უხერხულობა მაშინვე დაიჩნდა.

მესამე ან მეოთხე მასწავლებლის მოწვევას მაშინ აქვს რაიმე აზრი, როცა შეძლება გაქვს საშუალო მაინც დააჯილდოო,—მისი შრომა. საზოგადო კრებამ მასწავლებლის მოწვევა გადასწყვიტა, მისის ჯამაგირის მისაცემად კი საიმედო წყარო ვერ დასახა. ბ-ნ ი. რამიშვილმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავებულის სიცოცხლისა... ყველა ეს კარგია, რა თქმა უნდა, უფრო მაშინ, როდესაც ერის ნივთიერი ცხოვრება უზრუნველყოფილია, დიდი სარგებლობა შეუძლიათ მისცენ ერს უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულმა აგრონემებმა და ინჟინერ-ტეხნოლოგებმა, რაღას უშველიან თავიანთ თანამოძმეებს, თუ ამათ ადგილ-მამული აღარ ექნებათ, ბოგანო ხალხად იქმნებიან გადაქცეული და დღიურ მუშაობით ლუკმა პურის მოსაპოებლად ილაჯ-გაწყვეტილნი იქნებიან?!

როგორც ვიცით, ერს განსაკუთრებულს ეროვნულს ერფერს სდებს სამი საუნჯე: სარწმუნოება, დედა-ენა, სამშობლო მიწა-წყალი, მამულად წოდებული... სარწმუნოების და დედა-ენის საფუძველი დამკვიდრებულია მამულზედ... მამულიდგან შორს გადატყორცნილი, ადამიანი ადვილად ჰკარგავს სარწმუნოებასაც და დედა-ენასაც... იმისი სამშობლო იქ არის, სადაც კარგად იცხოვრებს ,,ოქროს ხბო'' ხდება იმის კერპად, რომელსაც იგი გუნდრუბს უკმევს. ასეთმა ადამიანმა თუ ვაჭრობა-მრეწველობას არ ჩაჰკიდა ხელი, უსათუოდ სხვის მუშად უნდა გადაიქცეს, ფაბრიკაში თავი უნდა ამოყოს, და ან ავ-კაცობით თავი ირჩინოს.

საქართველოს ერს სწორედ ასეთი სამწუხარო ბედი მოელის. ქართველი ერის მთავარს ნაწილს, თავად-აზნაურობას თვისი ადგილ-მამული სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ხელიდგან ეცლება და უცხოთა ხელში გადადის. სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკები და კერძო პირნი უყიდიან მამულს თავად-აზნაურობას კანონის ძალით, თავად-აზნაურობისვე წინ დაუხედაობის გამო, და ესრედ ეს წოდება, რომლის კუთვნილებას შეადგენს საქართველოს მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი, ახლო მომავალში სრულიად დაჰკარგავს თვისს ავლადიდებას და აღუწერელ უბედურებაში ჩავარდება.

ადგილ-მამულის დაკარგვით დაიქსაქსება ქართველი ერი, რომლის შუაგულს ადგილებზედ სხვა-და-სხვა ერთა ახალშენები გაჩნდება, რაც უქადის ცუდს მომავალს მთელს ერსა. ტყუილად კი არ სთქვა ბრძენმა შოთამ, წინად-მგრძნობელმა ჩვენის ერის ასეთის დაცემისამ, ,,უცებნი (უვიცნი) მოსრნეს მცოდნეთა ცოდნემან, ხელოვნებამან‘‘... დიახ რომ ბურთი და მოედანი ცხოვრებაში იმას რჩება, ვინც ცოდნით არის აღჭურვილი, ვინც უცოდინარობით, უმეცრებით არაა დაბრმავებული.

ძლიერ კარგია, ოდეს რომელსამე ერს ჰყავს ბლომად უმაღლესი სწავლით აღჭურვილი შვილები, მაგრამ ესენი მთელს ერს მაინც არ შეადგენენ, ისინი წარმოადგენენ უმცირესს ნაწილს მთელის ხალხისას... უკეთუ ამ ხალხს დაკარგული ექნება თავისი მამულ-დედული და სხვის ხელის შემაცქერალი იქნება, მაშინ ეს უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი ძეები მას ბევრს სარგებლობას ვერ მოუტანენ და სამშობლოში მოღვაწეობის თვით ნიადაგიც კი მოსპობილი ექნებათ...

ამის გამო არ შეგვიძლია, ვისურვოთ უმრავლესობასთან ერთად, რომ თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული მოახმაროს ისეთი სასწავლებლის დაარსებას, რომელშიაც მისი შვილები სასოფლო მეურნეობას შეისწავლიან და მის მეოხებით გონივრულად შეამუშავებენ თვისსავე მდიდარ მამულსა და მით ამ მამულსაც შეირჩენენ და ცხოვრების სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათაც დააკმაყოფილებენ. ვინ არ იცის, რომ თავად-აზნაურობის მრავალი შვილი, გამოსული საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასებიდგან და ან დარჩენილი მშობელთა სიღარიბის გამო სრულიად უსწავლელად, ცხოვრებას უსაქმურად და ცუდ უბრალოდ ატარებს... ეს ამდენი ახალგაზდა, ცხოვრების ბრძოლისთვის მოუმზადებელი, ჩვენი სამშობლოს შვილებია, მისი ტკბილის რძით გაზრდილია, მათი კარგი—სამშობლოს კარგია და მათი ცუდი—სამშობლოს ცუდია... ნუ თუ ეს გარემოება დამაფიქრებელი არაა?! ნუ თუ ამდენი მუქთა ხორა შვილები თავად-აზნაურთა, ცხოვრების უცოდინარი, სხვა და სხვა შემთხვევის მსხვერპლი, დამაფიქრებელი არაა შეგნებული ქართველებისა, რომელნიც სათავეში უდგანან ჩვენს ცხოვრებას?.. დამაფიქრებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ერის ზოგიერთნი წარმომადგენელნი დიპლომებს ეპოტინებიან. უნდათ განამრავლონ ჩვენში ნასწავლი პროლეტარიატი, ღარიბი ჩინოვნიკები...

ის სჯობია, რომ ჩვენის ერის უმრავლესობამ შეისწავლოს სასოფლო მეურნეობა, დაუბრუნდეს თვისს მიწა-წყალს, შეამუშავოს იგი გონივრულად ახალის წესებით და ესრედ შეირჩინოს თვისი მამული, არ ჩააგდოს იგი უცხოთა ხელში და თვისს შთამომავლობას ხელუხლებლად გადასცეს. ორივ გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა ასეთი სასწავლებლების დაარსების საქმეში უნდა შეერთდეს ხუთს წელიწადს უმაღლესად ნაკლებები ფულიდგან 200,000 მან. შეგროვდება და ამ თანხით სასწავლებლის დაარსება ყოვლად შესაძლებელია. ქართველს ერს ეჭირვება მეურნეობის შესწავლა, და სწორედ ეს დარგი ცოდნისა ჩვენს სამშობლოს აღაყვავებს. მეურნეობის შესწავლაში და სამეურნეო ცოდნის გამოყენებაშია ხსნა ჩვენის ერისა, თორემ მას ვერა ვითარი „ტკბილი სიტყვები“ და ვერა ვითარი „კეთილი სურვილები“ გადაგვარებას ვერ აღაშორებენ, თუ ქართველი ერი თვისს ადგილ-მამულს დაჰკარგავს, მაშინ საქართველოც აღარ იქნება, ქართველებსაც მის მიწა-წყალზედ საცხოვრებელი ადგილი აღარ ექნება... მეურნეობისთვის კი ღვთისგან ნაკურთხი ჩვენი სამშობლო, რომლის მიწა-წყალზედ დღეს ათასგვარი სხვა-და-სხვა ერის შვილები სიტკბოებით სცხოვრებენ. ქართველი კი ვერ იყენებს თვისს მდიდარს მიწა-წყალს ჯერ ერთი ჩვეულებრივი სიზარმაცით, მერე თვისის უცოდინრობის გამო.

მიეცით ქართველ თავად-აზნაურობის ახალთაობის უმეტესობას სამეურნეო განათლება ჩაუნერგეთ მას პატარაობიდგანვე შრომის სიყვარული და მაშინ ნახავთ, თუ როგორ აღყვავდეს ჩვენი სამშობლო, მაშინ შრომის სიყვარულიც გამტკიცდება, თანხაც გაჩნდება, შვილებსაც კარგად აღზრდიან უმაღლესს სასწავლებლებში და საზოგადოდ უფლის თვალი დატრიალდება ჩვენს სამშობლოში... ჩინოვნიკების გამრავლებითი ჩვენ ფონს ვერ გავალთ. დაე უმაღლესს სასწავლებლებში შვილები იმ მშობლებმა აღზარდონ, რომელთაც შეძლება აქვსთ...

ეს აზრი ჩვენ წარმოგვათქმევინა უმაღლესად ნაბრძანები ფულის განაწილებამ... გვიკვირს კომისიას ყურადღება, არ მიუქცევია იმ წერილებისათვის, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულს გაზეთებში და ფული ისე გაუნაწილებია, როგორც თვითონ უსურვებია... ყოველს შემთხვევაში კომისიას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია სამეურნეო განათლებისათვის, რომელიც, ჩვენის აზრით, ერთად-ერთი სახსარი-ღაა ჩვენის კეთილდღეობის გასამტკიცებლად...

თეზბიტელი.

თეატრის მატიანე

პატიოსნება—ზუდერმანისა.
ადვოკატთან—ვ. გუნიასი.

გუშინ, 6 დეკემბერს, მეორედ ითამაშეს ამ სეზონში ქ. კარგარეთელის საბენეფისოთ ზუდერმანის „პატიოსნება“.

შეიძლება ამ პიესას მეორე სახელიც ვუწოდოთ—„ფული“. მეტად საყურადღებოა და დღევანდელი ცხოვრების დამახასიათებელი ფულის გამრყვნელი სიძლიერე, ბ-ნნი მიულინგები ფულით ყიდულობენ უფლებას, პატიოსნებას, სიყვარულს, კეთილშობილებას... ავტორი ორ საგანს ეხება თავის პიესაში—პირველი პატიოსნებაა,—ამაზე უკვე იყო დაწერილი; ჩვენ გვინდა მეორეზე მივილაპარაკოთ.

ღარიბ ხეინეკების ოჯახში მათ შვილის რობერტის ამერიკაში ყოფნის დროს უბედურება მოხდა: მდიდარ ბურჟუას, მათი ბატონის შვილმა (კურტ მიულინგმა) გააუპატიურა ხეინეკეების ქალი ალმა... ძვირფასმა სამკაულებმა,

---

საზოგადო კრებას თავგამოდებით ამხნევებდა, მესამე მასწავლებლის ჯამაგირის შიში ნუ გვექნებაო, შეგვიძლიან სკოლაში სწავლის ფული შემოვიღოთო; შეიძლება, საზოგადოებამ ბათუმში დააარსოს თავისი განყოფილება, რომელიც იზრუნავს საზოგადოთ სკოლისთვისაო და ამ რიგათ მესამე მასწავლებლის ჯამაგირს ადვილათ გადავიხდითო.

ბათუმის სკოლაში სწავლის ფულის შემოღება დიდი უსამართლობა იქმნება, ჯერ იმიტომ, რომ ეს სკოლა ღარიბთათვისაა დაარსებული და გადასახადის შემოღება მისის ძირითადის პრინციპის უარყოფა იქნება; და მერე ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სკოლა ჯერ-ჯერობით განსაკუთრებულს პირობებშია, მისი თავი და თავი დანიშნულება ის არის, რომ ქართველი მაჰმადიანები მიიზიდოს და მათი შვილები თავის მოწაფეებად გაიხადოს; ხოლო უკეთუ სწავლის ფულს შემოვიღებთ, მაჰმადიანებს ჩვენ სკოლას მოვაშორებთ, და ეს გარემოება-კი, ვგონებ, არავისათვის სასურველი არ იქმნება.

კიდევაც რომ სწავლის ფული შემოიღონ, ამისაგან სკოლის წლიურ ბიუჯეტს ბევრი-ბევრი 160—200 მან. მიემატოს, რადგანაც 75% ღარიბები მოიძებნებიან სკოლაში, რომელთა განთავისუფლება აუცილებელ საჭიროდ შეიქმნება. განა 150—200 მანეთისათვის ღირს სკოლას ასეთი ეჟვნიანი საფთხობელა ბანს ავკიდოთ!...

ბ-ნი ი. რამიშვილის მოხსენებულს მეორე წყაროზე ლაპარაკიც მეტია, რადგანაც ბათუმში საზოგადოების განყოფილების დაარსების ნება არა გვაქვს და ამის ნებას არცარავინ მოგვცემს. ეს ბ-ნ რამიშვილს კარგად უნდა სცოდნოდა თავის დროზე და ამის შესახებ ლაპარაკი მეტად უნდა მიემჩნია.

სხვა მუდმივი წყარო?—საზოგადო კრებაზე არც ერთი არა ყოფილა დასახული.

მაგრამ ჩვენ ერთი გვიკვირს: რად სკოლის ადგილობრივს სამზრუნველო კომიტეტს ასე გვერდი აუქციეს? რად ნამდვილი სკოლის პატრონების ჯიბის ავლა-დიდებას არ მიმართეს?—ეგებ აქ აღმოჩენილი იყო რაიმე საიმედო წყარო!..

ჩვენ ერთი წელიწადია, რაც ადგილობრივი კომიტეტის შემოსავალ გასავლის დავთრების ციფრებისათვის თვალი არ გადაგვივლია, მაგრამ უამისოდაც შეგვიძლია უტყუარად დავასკვნათ, რომ სამზრუნველო კომიტეტს ღონე არ შესწევს, მესამე მასწავლებელს მუდმივად ჯამაგირი აძლიოს. კომიტეტს რომ შეძლება ჰქონდეს, დღევანდელ სკოლის ორის დაუღალავი მოღვაწის (ი. რამიშვილი და ი. გოგოლაშვილი) შრომას უფრო ღირსეულად დააჯილდოებდა. ხუთი ექვსი თუმანი თვეში რა ფულია იმისათვის, ვინც დღე და ღამ განუწყვეტლად სკოლისათვის იღვწის?!... თუ კი სხვები ასეთის შრომისათვის 100—150 მან. იღებენ, ბ-ნნი ი. რამიშვილმა და ი. გოგოლაშვილმა ვითომ რა დააშავეს?—დავიჯეროთ, კომიტეტი ამას ვერ გრძნობდეს! დიაღამც ჰგრძნობს, მაგრამ შეძლება რომ არა აქვს. როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, და ასეც ხდება ბათუმის სკოლის მოღვაწეთა შესახებ.

ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ ორასი მანეთის შემოწირულობის შესახებ არა ითქმის რა, რადგანაც ამ ფულს ერთ დროებითი ხასიათი აქვს.

ესრედ, ყველა დასახული წყაროები, რომლიდანაც ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო ბათუმის სკოლის მესამე მასწავლებლის ჯამაგირის გასწორება, ჩვენის აზრით, არა საიმედო წყაროებად უნდა ჩაითვალოს.

წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოებას დიდი ნივთიერი საშუალება მოეპოვება; განა მაინცა და მაინც, რა საჭიროება მოითხოვს, რომ ბათუმში უსათუოდ მესამე მასწავლებელი იქმნას მოწვეული? თუ კი საზოგადოებას რაიმე ღონისძიება მოეპოვება, ეს ძალა ქართველ მაჰმადიან სოფლებში უნდა დაატრიალოს, სწორეთ იმ სოფლებში, საიდანაც ასე უჭირსთ ბავშვების მიბარება ბათუმის სკოლაში, სიშორის თუ ხელმოკლეობის გამო. ხსენებულს სოფლებში სწავლის სურვილი დიდია არა თუ ვაჟებისა, პატარა ქალების მხრითაც კი. ამ სოფლებში ახალი სკოლის დაარსება საზოგადოებას გაუჭირდება, ხოლო ბათუმის სკოლის განყოფილების კი—სრულიადაც არა. თუ კი საზოგადოებას რაიმე შეძლება მოეპოება, სწორეთ ამ მხრით უნდა მოახმაროს, და არა ეხლავე ბათუმში მესამე მასწავლებლის მოწვევის თავდარიგს შეუდგეს, და ისეც ვალით და ვახშით.

ამნაირად საზოგადო კრების დადგენილება ბათუმის სკოლის მესამე მასწავლებლის მოწვევის შესახებ, როგორც საქმის ნამდვილი ვითარების შეუფერებელი, ფიქტიურად მიგვაჩნია. ჩვენ არ ვიცით, გამგეობამ როგორი მსვლელობა მისცა ხსენებულ საკითხს, ხოლო ის კი უეჭველია, რომ გამგეობა კანონიერ გზას დაადგება ამ საკითხის განსჯის დროს; თავდა პირველად დაეკითხება ადგილობრივ სამზრუნველო კომიტეტს, გაქვს შეძლება მესამე მასწავლებელს ყოველ წლივ სათანადო ჯამაგირი აძლიო, თუ არაო. კომიტეტი, რასაკვირველია, ნივთიერ შეუძლებლობის გამო უარს შემოუთვლის, საზოგადოებას თავის მხრით არავითარი სახსარი არა აქვს ყოველ წლიურად 500—600 მანეთი იხადოს, და ამნაირად საზოგადო კრების დადგენილება თავის თავად გაუქმდება.*)

დასასრულ, არ შეგვიძლია არ შევეხოთ იმ საკითხსაც, რომელიც ასე მჭიდროდ დაკავშირებულია ამ ჩვენს საბაასო საგანთან.

ბ-ნი ი. რამიშვილი საზოგადო კრებას უმტკიცებდა, მე არა ვითარი უფლება არა მქონდა სკოლის კარები დამეხურა ტრაპეზონიდან მოსულ „ვინმე ქორიძისათვის“ და სკოლაში არ მიმეღოო. დიაღამც, სასიქადულო თვისებაა, რომ ყველა ჩვენი მასწავლებლები ამ ფილანტროპიული გრძნობით იყვნენ განმსჭვალულნი, მაგრამ სკოლის კეთილდღეობისათვის სასარგებლო იქმნება, რომ ხვალ-ზეგ ბათუმის სკოლას ორასი „ვინმე ქორიძე“ მიაწყდეს და ბ-ნ ი. რამიშვილმა ამათაც კარები გაუღოს!? ვგონებ ამას სკოლის კეთილდღეობა არ უნდა მოითხოვდეს. ქუთაისისა და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლების გამგეთ ბ-ნი ი. რამიშვილის სასიქადულო გრძნობით რომ ეხელმძღვანელოდ, დღეს ამ სკოლებს ათას-ათასზე მეტი შეგირდი ეყოლებოდათ და, თქვენ წარმოიდგინეთ ამ სკოლების მდგომარეობა, თუ მოსწავლეთა რიცხვის გადიდებასთან არც მასწავლებელნი მოემატებოდნენ, არც შენობა გაფართოვებულ იქმნებოდა და არც სკოლის შესანახი ფული გაზდილიყო...

ა. ყუმისთაველი.

---

*) როგორც ჩვენ შევიტყვეთ საქმე ამ ბოლოს დროს უფრო გაძნელდა. უმთავრესი სარჩო ბათუმის სკოლისა ყოველ წლიურის „ქართულის საღამოს“ შემოსავალი იყო. ამბობენ კლუბის დარბაზი, სადაც ეს „საღამოები“ იმართებოდა, დამწვარაო. თუ ეს მართალია, სკოლის სამზრუნველო კომიტეტს, არამც თუ მესამე სასწავლებლის,—პირველისა და მეორის შენახვაც გაუძნელდება.

მდიდარმა სადილებმა მალე დაავიწყებინეს ალმას პირველი მწუხარება. ის სრულიად კმაყოფილიც არის ეხლა თავის ბედით. მიულინგების საჩუქრებმა მალე მოულბეს გული ხეინეკეებს, კიდეც მოიმადლიერეს ისინი. მაგრამ უცხოეთიდგან ბრუნდება რობერტი; ნელ-ნელა გაიგებს ოჯახის საიდუმლოს. მისი კეთილშობილი ბუნება აშფოთებულია დედმამის და დის საქციელით: როგორ შეურიგდნენ ისინი თავის შეურაცხყოფას! მამა ხეინეკე გულის სიღრმეში კიდევ გრძნობდა ამ შეურაცხყოფას და ეხლა შვილით წაქეზებული მზად არის შეაჩვენოს, სახლიდგანაც გააგდოს ალმა და არავითარი სასჯელი არ დაიშუროს მიულინგებისათვის. რობერტი დაკმაყოფილებას მოსთხოვს ახალგაზდა მიულინგს და გადაწყვეტილი აქვს ამ დაკმაყოფილების შემდეგ სამუდამოთ დასტოვოს სამშობლო და თავის ოჯახით გადასახლდეს ინდოეთში....

დაქანცულს რობერტს სძინავს. მამა მიულიგს მოუნდომებია ფულით მოიშოროს „საზიზღარი“ ხეინეკები. ამით ისინი უნდა გაბედნიერდნენ; სხვა რა დაკმაყოფილება უნდა მისცენ ლატაკებს! მიულინგი 12 ათას მანეთს აძლევს მოხუცს ხეინეკეს: ნახევარი შენ, ნახევარი შენს ქალს მზითევათო. ხეინეკეს თვალები უბრწყინავენ სიხარულით. მუდამ მშიერნი, მუდამ უზომო შრომისაგან წელში გაწყვეტილნი, იყვნენ! დღეს კი? ხეინეკე შეიძლებს ცხენის რკინის გზით გაისეირნოს! რის პატიოსნება! გახარებული ხეინეკები ალმათი, მეორე ქალით და სიძით ლხინს შეექცევიან, მღერიან თავის ბედნიერებას. სინდისმა მიიძინა! შემოდის რობერტი და რა გაიგებს მათ მხიარულების მიზეზს, მუხლებზე დაუვარდება მამას და ევედრება—უკან დაუბრუნოს ფული. ამაოდ! მუდამ შვილის გამგონე ხეინეკე ეხლა იმაზედ უწყრება შვილს: როგორ მიბედავ აგრე ამაყად და თავისუფლად ლაპარაკსო. დედაც წინანდებური მოალერსე არ არის. ალმა ხმის გამოცემის ღირსადაც არ კი ხდის რობერტს...

ბოლო? ჩვენ რომ დაგვეწერა „პატიოსნება“, სხვანაირად დავამთავრებდით. ახალ ზემოყვანილში არაფერი არისო, შეიძლება თქვას, მკითხველმა. მართალია: როგორ რყვნის დღევანდელი სიმდიდრე როგორც ფულის მქონეთ, ისე მას მოკლებულთ, ეს ძველი კითხვაა; მაგრამ მშვენივრად და ორიგინალურად აქვს ზუდერმანს იგი დასურათებული.

პიესა სრულის ანსამბლით იყო ნათამაშევი. განსაკუთრებით კარგნი იყვნენ ბ-ნნი მესხიშვილი, გედევანოვი და ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა. კარგად თამაშობდა ბ. გუნიაც, ცოტა სხვანაირი სიარული რომ არ იცოდეს, მაგრამ უხერხული როლი კი ჰქონდა: გრაფი ტრასტი პიესაში მელოდრამატიული deus ex machina-ა და ცუდათ მოქმედობს მაყურებლებზე.

ძალა უნებურად ადარებ ადამიანი ქართულს თეატრს არტისტიული საზოგადოებაში მოთავსებულ რუსულ დასს. როგორც საერთოდ, ისე ბბ. ადელგეიმებთან შედარებით უპირატესობა უნდა მივცეთ ქართულ დასს და ბ. მესხიშვილს. ჩვენი საზოგადოება უმიზეზოთ გაურბის სამშობლო თეატრს, ტყუილად მიზდევს წახედულობას და რეკლამებს.

მებენეფისეს საზოგადოება ტაშის კვრით შეხვდა და რამდენიმე საჩუქარი მიართვა.

ზუდერმანის პიესის შემდეგ ითამაშეს ბ-ნ გუნიას „ადვოკატი“.

—u.

—

ქუთაისის თეატრი

—

„პატიოსნება“ კომ. 4 მოქმ. ზუდერმანისა.

კიდევ ერთი ახალი პიესა... თანდათან ვრწმუნდებით, რომ ჩვენი მსახიობნი სინიდისიერად და სერიოზულათ ეკიდებიან საქმეს და საზოგადოების მხრივაც მეტს სიმპატიას და თანაგრძნობას იმსახურებენ. „ავადმყოფი ხალხის“ წარმოდგენამ ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენს სცენაზე, თუ მსახიობნი შრომას და მეცადინეობას არ დაიზარებენ, შესაძლებელი ყოფილა სერიოზულ პიესების თამაშობა, თუ უნაკლულოდ არა, გვარიანად მაინც. კვირას წარმოდგენილმა „პატიოსნებამ“ კი უფრო დაგვარწმუნა ჩვენის აზრის სამართლიანობაში; თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელი წარმოდგენა საუკეთესოა ჯერ-ჯერობით ამ სეზონში. როლები ყველამ ზედმიწევნით იცოდა და თითოეული მოთამაშე შეძლებისა და გვარად ანსაბლს ხელს უწყობდა. უმთავრესს როლს (რობერტისას) ბ-ნი მესხიშვილი ასრულებდა, რომლის თამაშობის შესახებ ახალს ვერაფერს ვიტყვით, თუ ათასჯერ თქმული არ გავიმეორეთ: მისი თამაშობა, როგორც ყოველთვის, ალსავსე იყო ნამდვილის გრძნობით, ბუნებრივობით, განსაკუთრებით იმ სცენებში, სადაც რობერტის შფოთვა, ღელვა და სულის კვეთება უნდა გამოეხატა. ბ-ნ ყიფიანის შესახებ, რომელმაც რიგიანად ჩაატარა გრაფ ტრასტის როლი, მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმისთანა მსახიობს, როგორიც ბ-ნი ყიფიანია, შეგვიძლია მოვთხოვოთ როლის უნაკლულოდ თუ არა, უფრო კარგად ალსრულება. ქ-ნმა ტასო აბაშიძემ რიგიანად შეასრულა ალმას როლი.

კარგნი იყვნენ ქ-ნი ივანიძე და ბ-ნი ბალანჩივაძე თავიანთ როლებში. დანარჩენნი მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდენ. ქ-ნი თათეიშვილი ჯერ-ჯერობით არავითარ ნიჭს არ იჩენს, თუმცა როლი კარგად გაეზეპირებინა, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. დასასრულ ვიტყვი, რომ ჩვენი თეატრის გამგენი მადლობის ღირსნი არიან ასეთ აზრიან პიესების დადგმისათვის.

H. Novus.

სასოფლო მეურნეობა.

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

—

ძლიერ საჭიროა, იცოდეს მეაბრეშუმემ, რომელიც თითონვე საზღვარ-გარეთ ყიდის მისგან მოწეულ პარკს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის ჭიის ჯეროვანად მოვლას და კარგი ხარისხის პარკის მოწევას. მართალია, კარგი ხარისხის პარკს, თეთრს, გაუსვრელს, მაგარს, ნედლობაზედაც მეტი ფასი აქვს, ვინემ მდარე პარკს, მაგრამ ნედლობაზე პარკი მაინც გარეგანი შეხედულობით იყიდება და შეუმცდარად ვერ ფასდება. სულ სხვასა ვხედავთ ხმელი პარკის საზღვარგარეთ გაყიდვის დროს. აქ მყიდველი და გამყიდველი ჯერ საქონლის თვალ და თვალ შეფასებით რიგდებიან (ნომინალი ფასი) და მერმე ამ ფასობას პარკის ძაფად ამოღებით აბოლოვებენ და სწორეთ მაშინ გამოჩნდება ნამდვილი ღირსება საქონლისა და დაბოლოვებითი მისი ფასიც. მაგალითად, მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ წელს გაყიდა ერთი პარტია პირველი ხარისხის თეთრი პარკი ნომინალ ფასად ფუთი 52 მანეთად და 80 კაპეიკად, (კილო 8 ფრ. და 80 სანტ.) იმ პირობით კი, რომ ძაფად ამოღების დროს ოთხ კილო პარკს ერთი კილო ძაფი უნდა მოეცა. ძალა ამ პირობისა იმაში მდგომარეობს, რომ მყიდველი ერთი კილო ძაფის მომცემ პარკში იხდის გარიგებულ ოთხი კილო პარკის ფასს, ესე იგი, ამ შემთხვევაში ოთხჯერ 8 ფრ. და 80 სანტიმის (35 ფრანკს და 20 სანტ.), თუნდ ოთხი კილო პარკი მოუნდეს ერთ კილო ძაფს, თუნდ მეტი და თუნდ ნაკლები. პარკის ღირსებაც იმაში მდგომარეობს, რომ ოთხზე ნაკლებმა მოგვცეს ერთი კილო ძაფი, მაგალითად სამმა კილომ და ნახევარმა. ამ შემთხვევაში ერთ კილო პარკს დაბოლოვებითი ფასი მოუწევს ათ ფრანკზე მეტი, ნაცვლად 8 ფრ. და 80 სანტ. ნომინალი ფასისა.

ზევით მოხსენებულ გაყიდულობაში, მართლაც, ამხანაგობის პირველი ხარისხის პარკი მოუნდა ერთი კილო ძაფის მოსაცემად სულ სამი კილო ნახევარზე ცოტა მეტი (3 კ. 540 გრამმი) ასე რომ, კილო პარკის დაბოლოვებითი ფასი შეიქნა ათი ფრანკი ექვს სანტიმი ნაკლებ, რაც შეადგენს ფუთზე ორმოცდა ცხრამეტ მანეთს და ცამეტ შაურს (59 მ. 65) ნაცვლად 52 მ. 80 კ. ზევით მოხსენებულ ნომინალი ფასისა.

იმავე დროს იმავე პირობებით ამხანაგობამ გაყიდა მეორე ხარისხის პარკი ფუთი ორმოცდა ათ მანეთად (კილო 8 ფრ. და 35 სან.) ნომინალ ფასად. ეს კი ერთი კილო ძაფის მოსაცემად მოუნდა ოთხი კილო და ას ოცდა ცხრა გრამმი, ამიტომ საბოლოვო ფასი ფუთს მოუვიდა ნაცვლად 50 მანეთისა 48 მანეთი და 50 კაპ. (კილოს 8 ფრ. და 8 სანტიმი).

ნათქვამიდან ცხადია, რომ: 1) მეაბრეშუმე უნდა ცდილობდეს აბრეშუმის ჭიის ჯეროვანად მოუაროს, ზომიერად დაიჯინოს, საკმაოდ აჭამოს, რომ პარკი პირველი ხარისხისა მიიღოს; 2) ეს პარკი მანვე უნდა გაყიდოს, სადაც ადგილია ან მანვე დაამუშაოს, რომ ნამდვილი ფასი აიღოს თავის ნაწარმოებში და არ მიჰყიდოს ჩარჩებს ნახევარ ფასად.

5 დეკემბერს 1901 წ.

ნესტორ წერეთელი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)“

6 დეკემბერი.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა შემდეგი უმაღლესი ბრძანება იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა სამზრუნველო საბჭოს სახელზედ: „გვსურს რა სახსოვარ ვყოთ საკეთილო საქმით ქორწინება ჩვენის უსაყვარლესის დისა დიდის მთავრინის ოლღა ალექსანდრეს ასულისა, საჭიროდ ვცანით დაარსებულ იქმნას ვორონეჟში კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტი და მიენდოს იგი მის უმაღლესობის მზრუნველობას. სასწავლებელმა უნდა აღზარდოს ვორონეჟისა და შიდა რუსეთის შუა და სამხრეთ ნაწილის გუბერნიების თავად-აზნაურთა ქალები, უმთავრესად ობლები, რათა სასარგებლო წევრნი გამოვიდნენ ოჯახისა. საგნებს შორის ასწავლიან ისეთ პრაქტიკულ ცოდნასაც, რომელიც პატიოსან შრომით ცხოვრების შეძლებას მისცემს სწავლა-დამთავრებულთ, თუ საკუთარის შრომით მოუხდათ ცხოვრება. ნიკოლოზი“.

ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩარიცხულ იქმნა გვარდიის ეკიპაჟში.

ებოძა ორდენი წმ. ვლადიმერისა მეორე ხარისხისა ლეიბგვარდიის გრენადერთა რაზმის უფროს მის უმაღლესობას გენერალ-მაიორს დიდ მთავარს დიმიტრი კონსტანტინეს ძეს.

ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა გენერალ-მაიორებს: კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსთან მყოფ საგანგებო მინდობილებათა გენერალს თავად ჩოლოყაშვილს და მე-4 ქვეითა დივიზიის უფროს შატილოვს.

ბრძანებანი სამხედრო უწყების: „თავის მზრუნველობის დასამტკიცებლად იმ ჯარის-კაცთა ოჯახების მიმართ, რომელთაც სისხლი დაღვარეს და ამით ერთგულება დაუმტკიცეს ტახტსა და სამშობლოს, ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ინება და ბრძანა ერთ დროული შემწეობა აღმოეჩინოთ ჩინეთის ამბების დროს მოკლულთა, ჭრილობათაგან მოიკვდართა, ან უკვალოდ დაკარგულ ჯარის-კაცთა ოჯახებს. „ხელმწიფე იმპერატორმა, აფიცერთა მძიმე შრომის შესამსუბუქებლად, უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა სამხედრო საბჭოს მიერ განხილული პროექტი, რომლის ძალითაც შესამჩნევად გაფართოვებულ იქმნა აფიცერთა უფლებანი დროებით სამსახურიდგან დათხოვნის საქმეში. მათი საქმისაგან დათხოვნა შეუძლიანთ ყოველ დროს. მათმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და ბრძანა, რომ აფიცერთა დათხოვნა შესასვენებლად შეიძლებოდეს მაშინაც, რომ დესაც ჯარი იკრიბება სასწავლებლად“.

ლონდონი. რუსეთის სოფლის მეურნეთა დელეგატებმა დაათვალიერეს სმიტფილდის მთავარი ბაზარი და ჰიდგოლმში წავიდნენ, სადაც მთავარმა ბაზარმა საუზმე გაუმართა. თავმჯდომარეობდა კომიტეტის პრეზიდენტი მუეი. მეფისა და რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელოს შემდეგ თავმჯდომარემ წარმოსთქვა ჩვენის რუსს სტუმრების სადღეგრძელო, ამასთა სთქვა, რომ რუსეთის იმპერატორს ევროპის სიყვარული აქვს დამსახურებული მშვიდობის მოყვარეობის წყალობითაო. განსაკუთრებული მადლობა გამოსთქვა ფინანსთა მინისტრის ვიტტეს მიმართ ინგლისის შესახებ წარმოთქმულ კეთილ სიტყვებისათვის. „ჩვენთვის საჭიროა, მეგობრული გაწყობილება ვიქონიოთ რუსეთთან. ჩვენ გვინდა ხელი შევუწყოთ ნაწარმოების შემოტანას დედამიწის ყველა კუთხიდგან, განსაკუთრებით რუსეთიდგანაო.“ მეტოქეობაში გასამარჯვებლად საჭიროა საქონელი კარგის ღირსებისა იყვესო. კრიუკოვმა რომელმაც ინგლისურად ილაპარაკა, გამოსთქვა, საჭიროა, რომ რუსები და ინგლისელები დადიოდნენ ერთმანეთის სანახავად, რათა უკეთ გაიცნონ ინგლისელებმა რუსეთი, ხოლო რუსებმა ინგლისი. მაშინ შუამავლები გაჰქრებიან. ახლოა ის დრო, როდესაც რუსეთის მწარმოებელნი ხელს გაუწვდიან ინგლისის მომხმარებლებსაო. შემდეგ კრიუკოვმა მიწად-მომქმედთა მოსკოვის საზოგადოების სახელით მიიწვია დამსწრენი მოსკოვში. ხვალ ვინძორში, მერძეობის ფერმების დათვალიერების შემდეგ, გამართული იქმნება, რუსეთის ხელმწიფის სახელწოდების დღის გამო სადილი. დელეგატები პარასკევს სალამოთი წავლენ.

ლონდონი. რადგანაც საქმეთა მდგომარეობა სამხრეთ-აფრიკაში, გაძნელდა, მთავრობას აზრადა აქვს იანვრის შუა რიცხვებში გაჰგზავნეს ათას კაცზედ მეტი გვარდიის ბრიგადისა, რათა უფრო გააფართოვონ და უკეთ მოაწყონ ბლოკჰაუზების საქმე.

ბელგრადი, მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფის ვლადან დჟორდჟევიჩის შვილმა ალექსანდრემ მოქმედებით შეურაცხყოფა მოაყენა ქუჩაში სარწმუნოებათა მინისტრად ნამყოფს პავლე მარინკოვიჩს, რომელსაც რამდენჯერმე საჯაროდ შეურაცხყოფა მიუყენებია ვლად. დჟორდჟევიჩისათვის. მარინკოვიჩმა ორჯელ რევოლვერი ესროლა მაგრამ ვერ მოარტყა. მძიმედ დაიჭრა ბიჭი, რომელიც ამ დროს ქუჩაში მიდიოდა.

ნიუ-იორკი. სენატში შეიტანეს კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც გადმოსახლებულთ გამოსცდიან იმათ განათლების ხარისხის გამოსარკვევად და დაწესებული იქმნება ინსპექტოთა თანამდებობანი საბუთის ქაღალდების გადასასინჯად, რათა ანარქისტებს შტატებში შესვლის ნება არ მისცენ.

ლონდონი. კრუიცინგერის ტყვედ წაყვანის გამო „რეიტ. სააგენტოს“ მიდლბურგიდგან (კაპის ახალ.) ატყობინებენ: 2 დეკემბერს კრუიცინგერი 150 კაპელის ინსურგენტით ორანჟეს მდინარეს გადაგიდა და კაპის ახალშენში გაემართა. მან მოისურვა ჰანოვერსა და ტელბომს შუა რკინის გზის ლიანდაგზე გადასვლა. ბლოკჰაუზებიდგან სროლა დაუწყეს; კრუიცინგერი და ხუთი სხვა ბური დაიჭრა და ტყვეთ იქმნენ წაყვანილი.

ვარშავა. განახლდა ერთის თვის შეჩერების შემდეგ გამოცემა „ვარშავის გაზეთისა“, რომელიც 128 წელიწადი არსებობს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Декабря 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 დროებითი რედაქტორი ალ. ხარაჯიშვილი.
გამომცემელი [illegible]